უთავბოლო თამაშის შედეგი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 12 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “სპარტაკი” (მოსკოვი) 2:3 (0:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ასათიანი (დათუნაშვილი), გავაშელი, ნოდია, მესხი.

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, ლოგოფეტი, გრებნევი, კრუტიკოვი, ვარლამოვი, როჟკოვი, ამბარცუმიანი, ოვივიანი, ოსიანინი (ევლენტიევი), მიხაილინი, ჰუსაინოვი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

უკვე მას შემდეგ, როცა ცნობილი გახდა ტურის სხვა შედეგები, კერძოდ, ის, რომ მინსკის “დინამო” დამარცხდა ბაქოში, ხოლო “შახტიორმა” საკუთარ მინდორზე ქულა დაკარგა “ლოკომოტივთან”, გამოირკვა მთავარი: თბილისელებმა შეინარჩუნეს სტატუსკვო და მასთან ერთად III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსებიც.

მაგრამ ეს იღბლიანი ტური რომ არა, ბრინჯაოს მედლების საკითხი “ჰაერში გამოკიდებული” დარჩებოდა და ადვილი შესაძლებელი იყო მთელი წლის ნაშრომი თვალსა და ხელს შუა გამოსცლოდა ჩვენს გუნდს. და ამაში, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავენი იქნებოდნენ თვით დინამოელები, რომლებმაც ძალზე უპასუხისმგებლოდ, უსისტემოდ, უთავბოლოდ ჩაატარეს მატჩი “სპარტაკთან”, გუნდთან, რომელსაც 23 აგვისტოს შემდეგ არ მოუგია არც ერთი შეხვედრა და აშკარა კრიზისს განიცდის. თბილისელთა ცუდი თამაშის გამო სპარტაკელებმა გამოასწორეს ეს “კვარტალური” გარღვევა.

დამარცხებას აშკარა ტაქტიკურ შეცდომათა მიზეზები ჰქონდა. ოვივიანის გამოჩენა მინდორზე სიურპრიზი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მაყურებელთათვის, ვინაიდან ამ ფეხბურთელს წლეულს სულ ერთხელ თუ აქვს ნათამაშები “სპარტაკში”, მაგრამ თბილისელთა მწვრთნელი და თვით მოთამაშეები ყოველგვარი მოულოდნელობისთვის უნდა ყოფილიყვნენ მზად. მათ შორის, ოვივიანის ვარიანტისთვისაც. მოსკოველთა გეგმა ნათელი იყო: ოვივიანი ტექნიკური ფეხბურთელია, კარგი დრიბლიორი. მას უნდა ემოქმედა მინდვრის მთელ სიგანეზე, შეეტანა დეზორგანიზაცია მოპირდაპირე დაცვაში და შეექმნა პარტნიორებისთვის კარის აღების შესაძლებლობა. ოვივიანმა საუკეთესოდ შეასრულა ეს ამოცანა და სწორედ მისი გადაცემებით გავიდა 2 ბურთი “დინამოს” კარში, თბილისელებს კი 90 წუთის მანძილზე ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად მჭიდროდ დაეკეტათ მოწინააღმდეგის გამთამაშებელი ფორვარდი, რომელიც აკეთებდა ყველაფერს, რაც მოეპრიანებოდა.

ანალოგიური ხასიათის მეორე შეცდომა იქნა დაშვებული შუა მინდორში. აქ მოქმედების სრული საშუალება მისცეს ამბარცუმიანს და მოსკოველთა შემტევმა ნახევარმცველმაც დიდი როლი შეასრულა თავისი გუნდის გამარჯვებაში. პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ ინდიფერენტულად უყურებდნენ დინამოელები ამბარცუმიანის აგრესიულ “ექსკურსიებს” მათს ზურგში და მისი ტაქტიკური ხასიათის რეიდებს.

მესამე საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა ჰუსაინოვის ნეიტრალიზების საკითხი. მართალია, მას პერსონალურ დარაჯად ცხოვრებოვი ჰყავდა მიჩენილი, მაგრამ მცველმა ვერაფერი მოუხერხა მოსკოვლთა კაპიტანს, რომელიც მთელი მატჩის მსვლელობაში განუწყვეტლივ იბრძოდა არა მარტო თავის ფლანგზე, არამედ შეტევის მთელ ფრონტზეც, მინდვრის სიღრმეში და იერიშის მახვილს ქმნიდა საჯარიმო მოედნის სხვადასხვა უბანზე.

ეს სამი უმთავრესი შეცდომა უკვე საკმარისია საიმისოდ, რომ მატჩის ბედი “სპარტაკთან” ბეწვზე ეკიდოს. მაგრამ ამას დაემატა განუწყვეტელი ლაფსუსები მთელ დაცვაში. რად ღირს, თუნდაც, ჭელიძის შეცდომა, როცა მან სრულიად უიმედო და უსარგებლო პოზიციაში, ორ მეტოქესთან ბრძოლისას, არ იკადრა ბურთის სწრაფად მოცილება და ისე “წაიყვანა” საქმე, რომ თბილისელთა კარში მეორე ბურთი იქნა გატანილი. დაცვის ასეთივე ელემენტარული შეცდომის შედეგი იყო მესამე გოლიც.

არც თავდასხმაში იყო უკეთ საქმე. მესხმა 2 ტაიმი მოანდომა იმას, რომ მაყურებელთა ერთი ჯგუფის საამებლად მოეტყუებინა ლოგოფეტი და ამის გამო თითქმის სავსებით გამოეთიშა თავისი გუნდის კოლექტიურ გეგმას. სამიოდე სახიფათო მიწოდება, რომლებიც ვერ გამოიყენეს თავდასხმის ცენტრში, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა მესხისთვის.

ძალზე ინერტულად გამოიყურებოდა შეტევის ცენტრში გავაშელი. აქ აღნიშვნის ღირსია მხოლოდ ნოდია და, აგრეთვე, ასათიანი, მაგრამ მას მუხლი ეტკინა და დათუნაშვილის სანაცვლო გამოყვანა მინდორზე მომგებიანი შეცვლა არ გამოდგა.

ერთი სიტყვით, თბილისის “დინამოს” ამ ბოლო გამოსვლით აღფრთოვანებული არ დარჩენილა არავინ, გარდა მოსკოვის “სპარტაკის” და მისი თყვანისმცემლებისა.

წინ კიდე 2 მატჩია, რომლებიც ასევე წყვეტენ ბრინჯაოს მედლების საკითხს.

განვლილ მატჩში გოლები ასე იქნა გატანილი: ანგარიში 39-ე წუთზე გახსნა ამბარცუმიანმა. საპასუხო ბურთი 48-ე წუთზე გაიტანა მეტრეველმა და 6 წუთის შემდეგ იმავე ამბარცუმიანმა მეორე ბურთი გაგზავნა კოტრიკაძის კარში.

59-ე წუთზე რეხვიაშვილმა აღადგინა წონასწორობა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ საბოლოოდ გაირკვა მატჩის ბედი: მოსკოველთა რიგებში მოხდა ცვლილება, ოსიანინის ნაცვლად შემოვიდა ევლენტიევი, რომელმაც იმავე წამს გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 14 ნოემბერი, 1967 წ.